გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის გუმბათის მოხატულულობის გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები

ვლადიმერ გურგენაძე

ფერწერის რესტავრსტორი, კონსულტანტი

გელათის მონასტერი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს კულტურულ ცენრს, რომელმაც შთამომავლობას შემოუნახა ხელოვნების უთვალავი ფასდაუდებელი ძეგლი. გელათი მიეკუთვნება საქართველოს იმ მცირე ანსამბლთა რიცხვს, რომელმაც, არა მარტო სრულად შემოგვინახა თავისი ძირითადი ნაგებობანი, არამედ შთამომავლობას დაუტოვა ზუსტი ცნობები მათი დაარსებისა და მშენებლობის შესახებ.

საერთო ხედი დასავლეთიდან

გელათის მონასტერმა შემოგვინახა სხადახვა ეპოქის (xii საუკუნიდან დაწყებული, xvii საუკუნით დამთავრებული) ქართული მონუმენტური მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები.

გელათის სამონასტრო კომპლქსის საერთო ხედი

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის გუმბათის მოხატულულობის საკონსერვაციო სამუშაოები, უკანასკნელად ჩატარდა გასული საუკუნის 90-ან წლებში. ცხადია ამ წლების განმავლობაში გუმბათის მხატვრობა ნაწილობრივ დაიფარა მტვრით, მწერების ქსელების და ეკლესიაში ანთებული სანთლების ნამწვავით. გარდა ამისა გუმბათის სარკმელების დაზიანებული ნაწილებიდან შემოსულმა ძლიერი ქარის მუდმივმა ნაკადმა, წვიმის წვეთებმა და ნესტმა, გაზარდა ჰაერის ტენიანობა გუმბათის ყელში, რაც მომავალში მხატვრობის სერიოზულ დაზიანებას გამოწვევდა. აღინიშნებოდა სოკოს არსებობა ქრისტეს სახეზე და ტაძარში შემოფრენილი მტრედების ექსკრემენტების არსებობა, მხატვრობის ზოგიერთ ადგილებზე. გარდა ამისა, შესაცველი იყო, ადრე შესრულებული, შელესილობის გამაგრებისთვის გაკეთებული, დაზიანებული, შევსებების ნაწილიც. ნალესობაზე შეიმჩნეოდა ნაწილობრივი განშრევებები, რომელთა სტაბილურობა, მისი ჩამოვარდნის საფრთხეს ჯერჯერობით გამორიცხვდა. ადგილ-ადგილ დაზიანებული და გასამაგრებელი იყო ფერის ფენაც. მთელი მხატვრობა დაფარული იყო მიკროსკოპილი და საკმაოდ დიდი ბზარებით, რომლებიც, მთელ ვერტიკალზე მიუყვება გუმბათის ყელს. არქიტექტორული რესტავრაციის დროს შეცვლილი, ახალი სარკმელების ჩასმის შემდეგ

დარჩენილი, წვრილი სიცარიელების შევსება, მხატვრობის დამატებითი დაზიანებისაგან დასაცავად, კონსულტაციების შემდეგ, დაევალათ რესტავრატორებს.

ფერწერის სარესტავრაციო ჯგუფის ხელმძღვანელთან (ს. რუბაშვილი) და კედლის მხატვრობის ტექნიკის მკვლევართან (ნ. კუპრაშვილი) ადგილზე კონსულტაციების შემდეგ, დადგინდა მხატვრობის დაზიანების გამომწვევი მიზეზები: არქიტექტურის მდგომარეობა (დაზინებული და შესაცვლელი სახურავი, შემკვრელად გამოყენებული ცემენტი, თითქმის ღია სარკმელები), გარე ფაქტორები (ქარი, წვიმის წყალი, მზის სხივები, ფრინველები), წინა რესტავრაციის დროს გამოყენებული მასალები (ნესტით დაშლილი თაბაშირისგან, ჭარბი რაოდენობით გამოტანილი მარილები) და ცოცხალი ორგანიზმების ზემოქმედება (ფერწერულ ფენაზე მექანიკური დაზიანებები და ფრინველების ნაკაწრები), მარილისა და ჭუჭყის პატინა. აგრეთვე, სარკმელების შეცვლის შემდეგ, დარჩენილი სიცარიელების შესავსებად, შეირჩა შესაბამისი მასალა და მისი ნეიტრალური ფერი.

მხატვრობის გასამაგრებელი ფერის ფენა

გელათის მონასტრის უაღრესად დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულებიდან გამომდინარე, 2014 წლის 23 ოქტომბერს, მოეწყო, ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების გაცნობითი, გასვლითი სესია, რომელიც გამართა, გელათის მონასტრის, აკადემიის შენობაში. მოწვეულნი იყვნენ დარგის სპეციალისტები, საპატრიარქოს, ქუთაისის მერიის,

ტყიბულის მუნიციპალიტეტის, საქ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სესიაზა მოხდა, გელათში განსახოციელებელი ორი ახალი პროექტის პრეზენტაცია: ერთ-ერთი იყო, "გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის მოხატულობის დიგნოსტიკური კვლევა", დაფინანსებული საქართველოში აშშ საელჩოს მიერ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოებისთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია მიმდინარე სამუშაოებზე და ამ სამუშაოებში აშშ საელჩოს წვლილზე. ცალკე აღსანიშნავია ა(ა) იპ "ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი"-ის, დირექტორი: მ.დვალიშვილი, საქმიანი და წარმატებული საქმიანობა, საქართველოს კულტურული ძეგლების შენარჩუნების, დაცვისა და რეაბილიტაციის საქმეში.

ამ სესიაზე კიდევ ერთხელ იქნა განხილული და საბოლოოლ დამტკიცდა, სარესტავრაციო, აუცილებელი, გადაუდებელი საკონსერვაცო სამუშაოთა ნუსხა და გრაფიკი.

ფერწერული ფენის აფურცვლა

ბზარი შელესილობის ფენაზე

მას შემდეგ, რაც გასული წლის ბოლოს, შეიცვალა სარკმელები და აღარ არსებობდა წვიმისა ქარის, მავნე ზემოქმედება ფერწერაზე, გაგრძელდა გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები. ფაქიზად შეივსო სიცარიელები, ახლად ჩასმულ სარკმელებსა და შელესილობას შორის, კირისა და ჭიათურის გაცრილი ქვიშის ნარევით, პროპორციით 1/3, რომელიც იყო ნეიტრალური ფერის, რათა ძალიან არ გამორჩეულიყო მხატვრობის ძირითადი ტონისაგან. ამავე პროპორციის კირის ხსნარით, შეივსო ზოგიერთი ადგილები და გამოიცვალა ძველი რესტავრაციის დროინდელი დაზიანებული შევსებები. ერთობლივი შეთანხმებით და ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, ჩატარებული ტესტების

საფუძველზე, შემოთავაზებული პროპორციით 4-4.5% ით, “ Acrylic 33 ” წებოს შესხურებით, გამაგრდა ფერის დაზიანებული, გაფხვიერებული, ადგილები. თუმცა ზოგიერთ ცალკეულ ადგილას (ფერის ფენის აფურცვლა) მოითხოვა, მიუთოების მეთოდის გამოყენება.

რესტავრატორებთან და ფერწერის მკვლევართან კონსულტაციების და ფერწერის ფენის ფერის მდგომარეობიდან გამომდინარე, ფერის ფენა გაიწმინდა მექანიკურად. ფრთხილად, მსუბუქად და მშრალად, რბილი ღრუბლებითა და ფუნჯებით, რათა არ მომხდარიყო, ტემპერით შესრულებული მხატვრობის დამატებითი დაზიანება. ასევე მექანიკურად, ლანცეტებისა და ფლეიცების გამოყენებით მოშორდა მხატვრობას მტრედების ექსკრემენტები, ობობების ქსელები და ზედაპირული გამომარილილებები. ბზარები და დასუსტებული შელესილობობა გამაგრდა პარალოიდ ვ72-ით.

დამონტაჟდა, ფრინველთაგან გუმბათის სივრცის დასაცავი, პოლიკარბონატით დამზადებული, სპეციალური საგნები, “ზღარბები”. ეს მოწყობილებები, ხელს შეუშლის ფრინველებს, განსაკუთრებით მტრედებს, მოიწყონ ბუდეები და დასასვენებლი ადგილები გუმბათის სივრცეში.

დაზიანებული და შევსებული ზედაპირი შელესილობაზე

რესტავრატორები, ხელოვნებათმცოდნეები და სესიაზე ჩამოსული სტუმრების ერთი ჯგუფი

დასასრულს უნდა ითქვას, რომ გელათის გუმბათის საკონსერვაციო, საერეაბილიტაციო, პროექტით გათვალიწინებული სამუშაოები, წარმატებით შესრულებულია.

ვლ. გურგენაძე